ხელშეკრულება 11

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 01. 02. 2012 წელი

ერთის მხრივ, შპს "ვანდერლენდ"-ის, წარმოდგენილი მისი დირექტორის ბ-ნ თენგიზ ზენაიშვილის სახით (შემდგომში "შემსრულებელი") და მეორეს მხრივ, სსიპ "კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის" ხელმძღვანელი ავთანდილ დემეტრაშვილის სახით (შემდგომში "შემკვეთი").

"შემსრულებელი" და "შემკვეთი" ამ ხელშეკრულებაში, მისი ქვეტექსტიდან გამომდინარე, შესაძლოა მოხსენიებოდნენ ცალ-ცალკე როგორც: მხარე, ხოლო ერთობლივად როგორც: მხარეები.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად "შემსრულებელი" „შემკვეთს" უწევს მომსახურებას:

1) უზრუნველყოს რკინიგზის ბილეთებით 05/02 თბილისი-ერევნის მიმართულებით 3 ადგილი კუპირებულ ვაგონში და უკან დასაბრუნებელი 08/02 ერევანი-თბილისის მიმართულებით 3 ადგილი კუპირებულ ვაგონში; 1 ავია ბილეთი მოსკოვი-ერევანი-მოსკოვი მიმართულებით, ჯავშანი სასტუმრო „ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუმართა სახლ"-ში 3 ნომერი: ორი ერთადგილინი, ერთი ორადგილიანი 2 ღამით (06/02-08/02), გვიანი გამოსვლით.

2) "შემკვეთი" ერთჯერადად უხდის "შემსრულებელს" შეთანხმებულ საზღაურს.

(CPV 75100000 –ადმინისტრაციული მომსახურება – CPV 75120000 – სააგენტოების ადმინისტრაციული მომსახურებები – CPV 75125000 – ტურიზმითან დაკავშირებული ადმინისტრაციული მომსახურებები).

2. ხელშეკრულების საფუძველი

2.1 საქართველოს კანონი „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ";

2.2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონი მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტი;

3. ანაზღაურება გაწეული მომსახურებისთვის

3.1 1) რკინიგზის 3 ბილეთის საფასური კუპირებულ ვაგონში თბილისი - ერევნის მიმართულებით - 180 ლარი;

2) რკინიგზის 3 ბილეთის საფასური კუპირებულ ვაგონში ერევნი - თბილისის მიმართულებით - 225 ლარი;

3) 1 ავია ბილეთის საფასური მოსკოვი-ერევანი-მოსკოვი მიმართულებით –750 ლარი

4) სასტუმროს 3 ნომერი: ერთადგილინი 2 – ერთი ნომრის ღირებულება - 60 აშშ დოლარი ექვივექლენტი ლარში, 1 ორადგილიანი (ცალ-ცალკე საწოლებით) - 90 აშშ დოლარი ექვივექლენტი ლარში, 2 ღამით (06/02-08/02) , გვიანი გამოსვლით, ჯამში 630 აშშ დოლარი ექვივალენტი ლარში (1045,8 ლარი).
3.2 ანაზღაურების გადახდა უნაღდო ანგარიშსწორების გზით 2200.8 (ორი ათას ორასი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარის ოდენობით.

4. შემკვეთის ვალდებულება

4.1 "შემკვეთი" იღებს ვალდებულებას "შემსრულებელს" გადაუხადოს 3.1 მუხლით გათვალისწინებული ანაზღაურება ხელშეკრულების მოქმედების ვადაში.
4.2 3.1 პუნქტში მითითებული რომელიმე მომსახურების გაუქმების შემთხვევაში გადაიხდის ჯარიმას , შემკვეთის მიერ წარდგენილი ინვოისის საფუძველზე.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და წყდება ხელშეკრულების პირობების შესრულებისთანავე.

6. დავების გადაწყვეტა

6.1 იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი ნებისმიერი დავა, უთანხმოება ან პრეტენზია ვერ მოგვარდება მხარეთა შეთანხმებით, იგი გადაწყდება საქართველოს შესაბამისი იურისდიქციის სასამართლოს მიერ.

7. დასკვნითი დებულება

7.1 წინამდებარე „ხელშეკრულება" მოიცავს „მხარეთა" შორის არსებულ ყველა შეთანხმებას ამავე „ხელშეკრულებით" გათვალისწინებულ საკითხებზე. წინამდებარე „ხელეკრულებაში" ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, „მხარეთა" მიერ ხელმოწერის საფუძველზე.
7.2. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე „ხელშეკრულების" ერთი ან რამდენიმე დებულება ნებისმიერი მიზეზით გაუქმდება ან უკანონოდ გამოცხადდება, ეს ზეგავლენას არ მოახდენს დანარჩენი დებულებების ქმედითობასა და კანონიერებაზე.
7.3 წინამდებარე "ხელშეკრულება" რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით. "მხარეთა" წინამდებარე "ხელშეკრულებით" გაუთვალისწინებელი უფლებები და ვალდებულებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.
7.4 წინამდებარე "ხელშეკრულება" გაფორმდა 2 (ორი) ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან თითოეული ეგზემპლარი წარედგინება "მხარეებს".

8. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები:

“შემსრულებელი”:

შპს „ვანდერლენდი“-ს

გენერალური დირექტორი:

თენგიზ ზენაიშვილი

საიდენტიფიკაციო კოდი: 245588163

ბანკის დასახელება: სს "თი ბი სი ბანკი"

ბათუმის ფილიალი.

ბანკის კოდი: 220101835

სვიფტი: TBCBGE22835

ანგარიშის ნომერი:

№:GE51TB1019736020100469

„შემკვეთი“:

„სსიპ “კონსტიტუციონალიზმის კვლევისა

და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის”

ხელმძღვანელი

ავთანდილ დემეტრაშვილი

ქ. ბათუმი ა. მელაშვილის ქ. №26

ტელ. 2725043

საბანკო რეკვიზიტები:

სახელმწიფო ხაზინა

სახაზინო კოდი 320405

ს/კ 204578242